აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს  გეგმიური საკითხის “ნარჩენების მართვის მდგომარეობის შესწავლა” ფარგლებში 2022 წლის მარტის თვეში განხორციელდა მონიტორინგი ქობულეთის მუნიციპალიტეტში. მონიტორინგი განხორციელდა ქობულეთის მუნიცეპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში ადგილზე გასვლებით.

მონიტორინგს ესწრებოდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. ,,სანდასუფთავებ’’-ს სამსახურის წარმომადგენელი.

ქობულეთში რუსთაველის ქუჩაზე #138-ს მოპირდაპირედ დაყრილია სამშენებლო ნარჩენები.
G.P.S. X-0730754 Y-4634004

ქობულეთში რუსთაველის ქუჩაზე #251-ს მოპირდაპირედ დაყრილია სამშენებლო ნარჩენები.
G.P.S. X-0740830 Y-4635585

ჩოლოქის მეურნეობაში მდ. ჩოლოქის ცოცხალ კვეთში ჩაყრილია სამშენებლო ნარჩენები.
G.P.S. X-0733859 Y-4641496

იქვე ახლოს დაახლოებით ას მეტრში ხიდის პირას მდ. ჩოლოქის კალაპოტში ჩაყრილია სამშენებლო ნარჩენები. G.P.S. X-0733871 Y-4641502

სოფელ ცეცხლაურის #1 საჯარო სკოლისა და ბავშვთა ბაღის უკან ხევში მოწყობილია სტიქიური საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი. აღნიშნული ფიქსირდებოდა 2021 წელს. G.P.S. X-0738874 Y-4640711

სოფ. მუხაისტატეს მეურნეობაში ქობულეთი ოზურგეთის გზის მარცხენა მხარეს ხევში მოწყობილია სტიქიური სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელი. G.P.S. X-0738741 Y-4631708

სოფ. მუხაისტატეს ცენტრში მისვლამდე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყრილია სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები. G.P.S. X-0738198 Y-4636251

ქობულეთში მესხიძის ქუჩაზე ე.წ. მტს-ის დასახლებაში ჯართის მიმღები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყრილია სამშენებლო ნარჩენები. G.P.S. X-0731441 Y-4630841

დაბა ჩაქვში ყოფილი ჩაის ფაბრიკის მოპირდაპირედ მდ. ჩაქვის წყლის კალაპოტში ჩაყრილია საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენები. G.P.S. X-0729646 Y-4622075

სოფ. ხალის გზაზე გორგაძეების ასახვევთან გზის პირას დაყრილია სამშენებლო ნარჩენები.
G.P.S. X-0724230 Y-4621861